

# კინგის ქართული ენის ოლიმპიადა - I ტური

## VIII კლასი

I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

1. რომელია უღლებადი სიტყვა ?

*„ზორბა ბიჭს უცნაური ღიმილი დასთამაშებდა.“*

ა) უცნაური                      ბ) დასთამაშებდა                      გ) ღიმილი

2. რომელია ბრუნებადი სიტყვა ?

*„რა ლამაზია, სამშობლოვ, შენი მთები და ველები!“*

ა) ლამაზია                      ბ) შენი                      გ) და

3. რომელია დამხმარე სიტყვა ?

*„ხალხი მაინც იმ ხეს ენდო, ფესვი რომ აქვს მაგარი და მუხისგან გამოთალა დალოცვილი აკვანი.“*

ა) მაინც                      ბ) იმ                      გ) აქვს

4. რომელია თანხმოვანფუძიანი სახელი?

*„კლდეს გადაკიდებული მონადირე სისხლისგან იცლებოდა.“*

ა) გადაკიდებული                      ბ) კლდე                      გ) მონადირე

5. რომელია მიცემით ბრუნვაში დასმული თანხმოვანფუძიანი სახელი?

*„სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა სიკვდილი სახელოვანი.“*

ა) სიკვდილი                      ბ) ნამრახი                      გ) სიცოცხლე

6. რომელია ხმოვანფუძიანი არსებითი სახელი?

*„ყმა ახლოს უჯდა მეფესა, ჰკითხვიდა, ეუბნებოდა.“*

ა) ახლოს                      ბ) ყმა                      გ) ეუბნებოდა

7. რამდენი ხმოვანფუძიანი არსებითი სახელია წინადადებაში?

*„ღამით მევლო, მოვდიოდი, ზღვისა პირსა აჩნდეს ბაღნი.“*

ა) ერთი                      ბ) ორი                      გ) სამი

8. რომელ ბრუნვაშია სიტყვები: მაღლით, შემწეობით, დაკვირვებით?

ა) ნათესაობითში                      ბ) მოქმედებითში                      გ) ვითარებითში

9. რამდენი კუმშვადი სახელია ტექსტში?

*„კალთები აქა-იქ დასწვოდა ზამთარში ცეცხლთან ახლოს გდებისაგან... დახეულებიდან მოჩანდა ერთი რაღაც საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარშემო ჩამოკიდებული, ვითომდა იუბკაა...“*

ა) ორი                      ბ) სამი                      გ) ოთხი

10. რამდენი კვეცადი სახელია ტექსტში?

*„თუმცა ლუარსაბის ჯვრისწერა ძალადობით მოხდა, თუმცა მზითვეშიაც მოატყუეს და მზეთუნახავის მაგიერ მახინჯი დარეჯანი შერთეს, მაგრამ - შუბლზედ ეგ მეწერაო - იფიქრა და დაემორჩილა ბედისწერასა.“*

ა) ერთი                      ბ) ორი                      გ) სამი



**21. რომელ წინადადებაშია სწორად გამოყენებული ნაცვალსახელი?**

1. „ჩემ სამშობლოს ვემსახურო,- აი, ჩემი ფიქრი!“
2. თქვენ გამო მომიწია ქალაქში ჩამოსვლა.
3. იქ მყოფი თითოეული კაცი ფიქრობდა წარმატებაზე.  
ა) პირველ წინადადებაში      ბ) მეორე წინადადებაში      გ) მესამე წინადადებაში

**22. რამდენი თანდებუიანი სახელია გამოყენებული წინადადებაში?**

*„იონიელების კავშირში შემავალი თორმეტი ქალაქიდან ერთ-ერთი იყო ეფესო. რომაული მმართველობის პერიოდში ის დიდხანს იყო რომის იმპერიის სიდიდით მეორე ქალაქი.“*

- ა) ერთი      ბ) ორი      გ) სამი

**23. რომელ წინადადებაშია ზმნისა და სახელის შეთანხმება სწორად?**

1. ბრაკონიერებმა სვანეთის ნაძვნარს შეაფარა თავი.
2. უამრავ ამბებს ყვებოდნენ სოფლის გოგო-ბიჭები.
3. და-ძმა ერთმანეთს სასიამოვნო ამბავს უამბობდა.  
ა) პირველ წინადადებაში      ბ) მეორე წინადადებაში      გ) მესამე წინადადებაში

**24. რომელ წინადადებაშია სწორად დაწერილი საკუთარი სახელი?**

1. ნესტან-დარეჯნის დაკარგვამ ტარიელი გააშმაგა.
2. ნესტან-დარეჯანის დაკარგვამ ტარიელი გააშმაგა.
3. ვახტანგიმ სადიპლომო ნაშრომი წარმატებით დაიცვა.  
ა) პირველ წინადადებაში      ბ) მეორე წინადადებაში      გ) მესამე წინადადებაში

**25. მოცემული წინადადებებიდან რომელში არ არის დაშვებული შეცდომა?**

1. ფაფარ აყრილი ბედაური მიაგელვებდა მხედარს.
2. ფაფარაყრილი ბედაური მიაგელვებდა მხედარს.
3. ფაფარ-აყრილი ბედაური მიაგელვებდა მხედარს.  
ა) პირველ წინადადებაში      ბ) მეორე წინადადებაში      გ) მესამე წინადადებაში

**ბონუს-სავარჯიშო: შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)**

**1. რომელ ბრუნვაშია სიტყვები: „დამ. ტყემ?“**

- ა) მიცემითში      ბ) მოქმედებითში      გ) მოთხრობითში

**2. რომელ პირშია ზმნა: „ვჭურჩულებ?“**

- ა) პირველ პირში      ბ) მეორე პირში      გ) მესამე პირში

**3. რომელია ჩვენებითი ნაცვალსახელი?**

- ა) მე ველოდები      ბ) ჩემი როიალი      გ) ის ოჯახი

**4. რომელია ვითარების ზმნიზედა?**

- ა) შარშან      ბ) წინ      გ) მწარედ

**5. კომპოზიტი ანუ :**

- ა) დამხმარე სიტყვა      ბ) რთული სიტყვა      გ) უმნიშვნელო სიტყვა